



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N116

2015 წლის 25 დეკემბერი

ქ.დუშეთი

„მოქალაქე გელა ქავთარაძის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N94 განკარგულების არარად აღიარების თაობაზე

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ/წ 07 ივლისს განცხადებით მიმართა მოქალაქე გელა ქავთარაძემ და მოითხოვა დაბა ფასანაურში, სამასი არაგველის ქუჩაზე მდებარე, საკუთარი საცხოვრებელი ბინისათვის ნომრის მინიჭება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საკითხი. მისი დასკვნის საფუძველზე, საკრებულოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N94 განკარგულებით, მოქალაქე გელა ქავთარაძეს საცხოვრებელ ბინას მიენიჭა ნომერი და მისი მისამართი ჩამოყალიბდა: დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ფასანაური, სამასი არაგველის ქუჩა N39, მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა N5.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართვის შემდგომ გაირკვა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა. მოხდა ნომრების დუბლირება, რის გამოც საკრებულოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N94 განკარგულების შესრულება შეუძლებელი გახდა ფაქტობრივი მიზეზის გამო.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. „მოქალაქე გელა ქავთარაძის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N94 განკარგულება, აღიარებულ იქნეს არარად.

2. ეს განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი